სპს თავაძე და კომპანია  სკოლა ანაზასისი

შეთანხმებულია

პედაგოგიურ  საბჭოსთან

(ოქმიN1----01.09.2021წ.)

ვამტკიცებ

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაზასისის დირექტორი

-------------------------------/ქ. ედიბერიძე/

# *სკოლის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა*

| პრიორიტეტი | შინაარსი | შესრულების დრო | პასუხისმგებელი |
|---|---|---|---|
| I | **თემა : თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო -სააღმზრდელო პროცესების და სამუშაო გარემოს ორგანიზება** | **2022-2028** | **დირექცია** |
| | 1.სასკოლო სასწავლო გეგმის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობაში შემუშავება, კურიკულუმებისა და მატრიცების შედგენა, მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება გეგმის შემუშავების დროს,გეგმის | ყოველწლიურად | დირექცია,პედსაბჭო, სკოლის განვითარების |

| | | | |
|---|---|---|---|
| სწავლა - სწავლება | განხორციელების მონიტორინგი | | ჯგუფი, მონიტორინგის ჯგუფი |
| | 2. მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზება,სასწავლო რესურსების განახლება,შეფასების რუბრიკების შემუშავება და დახვეწა. | ყოველწლიურად | დირექცია, კათედრები, მასწავლებლები |
| | 3. სწავლების და აღზრდის კუთხით დაინტერესების და მოტივაციის ამაღლების მიზნით,სკოლაში სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება:<br>ა)სასკოლო,სარაიონო,რესპუბლიკური ოლიმპიადების ორგანიზება.<br>ბ)მოსწავლეთა ჩართვა ოლიმპიადებსა და კონფერენციებში,გამარჯვებულ მოსწავლეთა წახალისება<br>გ)ლიტერატურული სალონის ორგანიზებით ლიტერატურული საღამოების გამართვა<br>დ)ინტელექტუალური კლუბის მიერ ინტელექტუალური თამაშების სისტემატიური ჩატარება<br>ე) მკვლევართა კლუბის მიერ სისტემატიური შეხვედრების მოწყობა<br>ვ)საინტერესო და აქტუალურ თემებზე ფილმების და სპექტაკლების ერთობლივი ჩვენება და დისკუსიების მოწყობა;<br>ზ)სასწავლო-შემეცნებითი ექსკურსიებისა და გასვლითი ღია გაკვეთილების ჩატარება(ფეროშენადნობთა ქარხანაში,წყალმომარაგების სამსახურში ,რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში,და სხვა.<br>ი)პროექტი „თანამშრომლობა გვაძლიერებს“<br>კ))მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნა მდგრადობის კალენდრის გათვალისწინებით, პრეზენტაციებით და დისკუსიებით. (დაუნის სინდრომი,აუტიზმი,შიდსთან ბრძოლის დღე,31 მარტი,9 | ყოველწლიურად<br><br>ყოველწლიურად | დირექცია, კათედრები, მასწავლებლები |

| | | | |
|---|---|---|---|
| | აპრილი და სხვა )<br>ლ) მოსწავლეთა კონფერენცია;<br>მ) მასწავლებელთა კონფერენცია ,, ჩემი საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკა“<br>ნ) ესეების კონკურსი სხვადასხვა თემატიკაზე. VI-XII კლასის მოსწავლეებს შორის. | | |
| | 4.მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა,ცალკეულ მოსწავლეთა განვითარების დინამიკის დადგენა,პრობლემების იდენტიფიცირება და მათი დაძლევის გზების შემუშავება-სხვადასხვა სახის ტესტებისა და ინდივიდუალური სამუშაოების საშუალებით | ყოველწლიურად | დირექცია, კათედრები, მონიტორინგის ჯგუფი |
| | 5.შეფასების სისტემის მუდმივი განახლება,ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებების და საჭიროებების გათვალისწინებით,შეფასების სისტემის დამუშავება საგნების მიხედვით შესაბამის კათედრებზე, | ყოველწლიურად | კათედრები,საგნის მასწავლებლები, |
| | 6.მოსწავლეთა თვითმართველობის ფუნქციური გაძლიერება, არჩევნების ჩატარება,მათი როლის და ჩართულობის ხარისხის ამაღლება | ყოველწლიურად | დირექცია,მოსწავლეები,მასწავლებლები |
| | 7.გაცვლითი პროგრამების მოძიება საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის | ყოველწლიურად | დირექცია, მასწავლებლები |
| | 8. ზრუნვა სკოლის ფონდის შექმნისთვის და ფონდის მიერ ნიჭიერ მოსწავლეთა სწავლების დაფინანსება | 2022-2028 | დირექცია |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| | 9.ონლაინ სასწავლო კონფერენციებისა და ინტელექტუალური თამაშების ორგანიზება და ჩატარება. | სისტემატიურად | დირექცია, მასწავლებლები |
| | 10. კომპლექსური დავალებებით საგნობრივი სტანდარტების დაძლევა. | სისტემატიურად | დირექცია, მასწავლებლები |
| | 11.უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ მოსწავლეთა რაოდენობის მუდმივი ზრდა | სისტემატიურად | დირექცია, მასწავლებლები |
| | 12.შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება(მუსიკალური სტუდია,ცეკვის ანსამბლი) | სისტემატიურად | დირექცია ხელოვნების კათედრა |
| | | | |
| II<br><br>**ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება** | **თემა:მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება** | **2022-2028** | |
| | 1. მასწავლებელთა შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა. | 2022-2028წ | დირექცია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი; |
| | 2. სკოლის მასწავლებლებისთვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება და კარიერულ წინსვლაში ხელშეწყობა ხელშეწყობა. | ყოველწლიურად | დირექცია |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | |
| | 3.ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა/ჩატარება(ინოვაციური სტრატეგიები/მეთოდები;<br>სწავლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება; | ყოველწლიურად | დირექცია, კათედრე<br>ბი |
| | 4.თანამედროვე პედაგოგიური მეთოდოლოგიის დანერგვა როგორც შიდა რესურსის, ისე მოწვეული სპეციალისტების დახმარებით; | ყოველწლიურად | დირექცია, კათედრე<br>ბი |
| | 5.მასწავლებელთა მოტივაციის და სტიმულირების მექანიზმების განვითარება; | ყოველწლიურად | დირექცია |
| III<br>მართვის პროცესი | **თემა : სკოლის მენეჯმენტის მოდერნიზება** | **2022-2028** | |
| | 1.სკოლის პოპულარიზაციისთვის ხელშემწყობი მექანიზმების არსებობა,მშობელთა ჩართულობა და ნდობის ხარისხი, კვლევების ჩატარება და ანალიზი. | ყოველწლიურად | დირექცია, ხარისხის მართვა |
| | 2.სტრუქტურული ერთეულების ფუნქციური გაძლიერება,უფლებამოსილებათა დელეგირება,სკოლის განვითარების ჯგუფის მუშაობის სრულყოფა,მონიტორინგის გაძლიერება; | ყოველწლიურად | დირექცია,ხარისხის მართვა |
| | 3.სტრუქტურული ერთეულების დებულებათა განახლება,თანამედროვე მოთხოვნებთან და საჭიროებებთან ადაპტირება; | ყოველწლიურად | დირექცია,ხარისხის მართვა |
| | 4.სკოლის ვებ-გვერდის და ფეისბუქის გვერდის დახვეწა და სკოლაში მიმდინარე პროცესების სოციალურ სივრცეში განთავსება; | ყოველწლიურად | დირექცია, ხარისხის მართვა,სკოლის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | განვითარების ჯგუფი |
| | 5.ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა  სხვადასხვა სახის ღონისძიებებითა და პროექტებით:<br>ა)სასკოლო სპორტული შეჯიბრებების ორგანიზება და სარაიონო სპორტულ შეჯიბრებებში აქტიური მონაწილეობა;<br>ბ)  პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით სასკოლო პროექტების დაგეგმვა განხორციელება.<br>გ)პრეზენტაციების და დისკუსიების ორგანიზება,მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართვის ხელშეწყობა(შესაბამის საერთაშორისო თარიღთან დაკავშირებით(მაგ,დედამიწის დღე და სხვა),აქციების მოწყობა,ბროშურების დარიგება თემის ინფორმირებულობის მიზნით<br>დ)ტურისტული ლაშქრობების მოწყობა და სხვა; | ყოველწლიურად | დირექცია, ხარისხის მართვა, საგნობრივი კათედრები. |
| | 6.სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და მუდმივი ზრუნვა მის შემდგომ დახვეწა - გაუმჯობესებაზე;(მასწავლებელთა და მშობელთა მაქსიმალური  ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში,სისტემატური მიზნობრივი შეხვედრები, კვლევების ჩატარება და ანალიზი) | ყოველწლიურად | დირექცია , ხარისხის მართვა, სკოლის განვითარების ჯგუფი. |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 7.გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების მექანიზმების სრულყოფა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება.<br>ა) პროექტი ,,თანამშრომლობა გვაძლიერებს“<br>ბ)ინტეგრირებული გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება;<br>გ)კათედრის წევრთა პერიოდული შეხვედრები ,პრობლემების იდენტიფიცირება,გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება და სამოქმედო გეგმის შემუშავება; კათედრათა შორისი თანამშრომლობა. | ყოველწლიურად | დირექცია, ხარისხის მართვა, საგნობრივი კათედრები. |
| | 8.ზრუნვა მოსწავლეთა დაცულობასა და უსაფრთხოებაზე.<br>საქართველოს განათლების,მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N06/ნ , „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“- აღნიშნული დოკუმენტით ხელმძღვანელობა. | სისტემატიურად | დირექცია,მასწავლებლები,<br>უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი,მრჩეველთა საბჭო. |
| IV<br>მატერიალურ ტექნიკური ბაზა | **თემა: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება** | **2022-2028** | |
| | 1.სკოლის შენობის კეთილმოწყობა.<br>კოსმეტიკური რემონტი ყველა საკლასო ოთახში; | ყოველწლიურად | დირექცია, სკოლის ადმინისტრატორი.<br>პარტნიორთა საბჭო. |

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაზასისი

| | | | |
|---|---|---|---|
| | 2.სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება;<br>ა)ღია სპორტული მოედნის კეთილმოწყობა;<br>ბ)დახურული სპორტული დარბაზის კეთილმოწყობა; | 2022-2028წწ | დირექცია, სკოლის ადმინისტრატორი.<br>პარტნიორთა საბჭო. |
| | 3.სასადილო დარბაზის მოდერნიზება .<br>ახალი ინვენტარით უზრუნველყოფა; | სისიტემატიურად | დირექცია, სკოლის ადმინისტრატორი.<br>პარტნიორთა საბჭო. |
| | 4.ცეკვის დარბაზის განახლება. | 2022-28 წწ. | დირექცია, სკოლის ადმინისტრატორი.<br>პარტნიორთა საბჭო. |
| | 5.სკოლის ბიბლიოთეკის კეთილმოწყობა სალონური სისტემის ფორმით ,სამკითხველო დარბაზის გაფართოება, წიგნებით მუდმივი გამდიდრება(პროექტი „ჩემი საყვარელი წიგნი ჩემს ბიბლიოთეკას“); | ყოველწლიურად | დირექცია, სკოლის ადმინისტრატორი.<br>პარტნიორთა საბჭო. |
| | 6.სკოლის ეზოს გამწვანება მარად მწვანე მცენარეებით; | 2022-23 წლები. | დირექცია, სკოლის ადმინისტრატორი.<br>პარტნიორთა საბჭო. |
| | 8.პროექტორის ყველა საკლასო ოთახეში განთავსება | 2022-28წწ | დირექცია<br>პარტნიორთა საბჭო. |
| | 7.ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის განახლება; | ყოველწლიურად | დირექცია, სკოლის ადმინისტრატორი.<br>პარტნიორთა საბჭო.სამეურნეო |

სკოლის განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | დარგის მენეჯერი, |
| | 8.უსაფრთხოების დაცვის და წესრიგის მიზნით ვიდეო კამერების მუდმივი მონიტორინგი; | სისტემატიურად | დირექცია, სამეურნეო დარგის მენეჯერი,<br>უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. |
| | 9.კომპიუტერული ლაბორატორიის გამდიდრება; | ყოველწლიურად | დირექცია, სამეურნეო დარგის მენეჯერი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა. პარტნიორთა საბჭო |
| | 10.საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შევსება; | ყოველწლიურად | დირექცია, სამეურნეო დარგის მენეჯერი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა.<br>პარტნიორთა საბჭო |
| | 11. ზრუნვა სანიტარულ ჰიგიენური მდგომარეობის დაცვისთვის | სისტემატიურად | სამეურნეო დარგის მენეჯერი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 12.სკოლის რადიო ხაზის აღდგენა-ფუნქციონირება | 2022 წ სისტემატიურად | დირექცია,ხარისხის მართვა |
| **V პარტნიორული ურთიერთობები** | **თემა: სკოლის პარტნიორული ურთიერთობების ხელშეწყობა** | **2022-2028** | |
| | 1.ქართულ და უცხოურ სკოლებთან პარტნიორული ურთიერთობების გაგრძელება (N7 საჯარო სკოლა,სკოლა „არქიმედე“,“აია-ჯესი“,ლიტვის ქ.ტაურაგეს სკოლა,ლონდონის წმ.გიორგის სახელობის სკოლა) | ყოველწლიურად | დირექცია და ხარისხის მართვის მენეჯერი |
| | 2.პარტნიორ სკოლებთან ერთობლივი ღონისძიებების და ოლიმპიადების ორგანიზება (დაახლოების და ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით ერთმანეთთან სტუმრობა, ონლაინ კონფერენციებისა და პროექტების განხორციელება. | ყოველწლიურად | დირექცია და ხარისხის მართვის მენეჯერი |
| | 3.სხვადასხვა თემატური პროექტების განხორციელების მიზნით ახალი პარტნიორი სკოლებისა და ორგანიზაციების მოძებნა,მათთან საქმიანი ურთიერთობების დამყარების მიზნით; | ყოველწლიურად | დირექცია და ხარისხის მართვის მენეჯერი |